ყოველკვირეული დაიჯესტი ტერორიზმსა და ძალადობრივ ექსტრემიზმში

10 – 16 აპრილი, 2023

TRC ტერორიზმის კვლევითი ცენტრი
TERRORISM RESEARCH CENTER

თავდასხმა (ლონდონ)დერის საპატრულო სამსახურზე

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის, ჯო ბაიდენის ბელფასტში ვიზიტამდე რამდენიმე დღით ადრე, ოთხმა შენიღბულმა პირმა ცეცხლი წაუკიდა დერის საპატრულო სამსახურის მანქანას. სამართალდამცავი ორგანოების განცხადებით, მომხდართან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.

11.04.2023

დაეშის წევრების სასამართლო პროცესი ნიდერლანდების სამეფოში

როტერდამის სასამართლომ სირიიდან რეპატრირებულ 4 ქალს თავისუფლების აღკვეთის სახით სამწლიანი პატიმრობა შეუფარდა. აღნიშნული პირების რეპატრიაცა 13 ბავშვთან ერთად გასულ კვირას დასრულდა. მოსამართლის განმარტებით, ეჭვმიტანილი ქალები მიზანმიმართულად გაემგზავრნენ სირიასა და ერაყში ტერორისტული ორგანიზაცია დაეშის დასახმარებლად.

13.04.2023

ჰურას ალ-დინის ლიდერი - სემი მაჰმუდ მოჰამედ ალ ურაიდი

ბაიდენის ადმინისტრაციამ, სირიის ტერიტორიაზე 2018 წელს შექმნილი ალ კაიდასთან დაკავშირებული ჯგუფის, ჰურას ალ-დინის ლიდერი, სემი მაჰმუდ მოჰამედ ალ ურაიდი, საერთაშორისო მასშტაბის ტერორისტად გამოაცხადა და სანქცირებულ პირთა სიაში შეიყვანა.

13.04.2023

ანტიტერორისტული სპეცოპერაცია სტამბულში

თურქეთის უსაფრთხოების სამსახური ავრცელებს ინფორმაციას, სტამბულში, 12 სხვადასხვა ლოკაციაზე განხორციელებული ანტიტერორისტული სპეცოპერაციის შედეგად ტერორისტულ ორგანიზაციებთან, დაეშთან და ალ კაიდასთან დაკავშირებული 15 ეჭვმიტანილი პირის დაკავების შესახებ. დაკავებული პირები უცხო ქვეყნების მოქალაქეები არიან.

12.04.2023

სუიციდური თავდასხმა სანაში

ტერორისტულ ორგანიზაცია დაეშთან დაკავშირებული მებრძოლების მიერ განხორციელებული სუიციდური თავდასხმის შედეგად, იემენის დედაქალაქ სანაში 4 ადამიანი, მათ შორის 2 თავდამსხმელი დაიღუპა. აფეთქება ჰუსიტების

მიერ სამგზავრო ავტობუსის ჩხრეკის დროს მოხდა, რომელსაც დაეშის ორი წევრი საზღვრის გადაკვეთის მიზნით იყენებდნენ.

11.04.2023

ტერორისტული თავდასხმა ნიამეიში

ნიგერის დედაქალაქ ნიამეისთან ახლოს, შეიარაღებულმა პირებმა სამხედრო კოლონაზე განხორციელებული თავდასხმის დროს მოკლეს 5 ჯარისკაცი და დაჭრეს რამდენიმე. ნიგერიის არმიის წარმომადგენლის, აბდუ სიდიკუ ისსას განმარტებით, მომხდარზე პასუხისმგებლობა ამ დრომდე არცერთ ტერორისტულ ორგანიზაციას არ აუღია.

11.04.2023

ტერორისტული თავდასხმა ჩიდას თემზე

ნიგერიის დედაქალაქ აბუჯაში, ჩიდას თემზე განხორციელებული თავდასხმის შედეგად, გატაცებულია 13 პირი და თემის ხელმძღვანელი. ადგილობრივების განმარტებით, პირები AK-47 ტიპის ცეცხლსასროლი იარაღით იყვნენ შეიარაღებული. თავდამსხმელებმა ცეცხლი გახსნეს 13 წლის ბიჭის მისამართით, რომელიც გაქცევას ცდილობდა. მოზარდი ფეხშია დაჭრილი და მკურნალობას საავადმყოფოში გადის.

12.04.2023

ტერორისტული თავდასხმა კადუნას შტატზე

ნიგერიის ჩრდილოეთ ნაწილში, კადუნას შტატში არსებულ საბონ ლაის თემზე განხორციელებული ტერორისტული თავდასხმის შედეგად, დაიღუპა 9 პირი. ადგილობრივების განმარტებით თავდასხმაზე პასუხისმგებელი ტერორისტული ორგანზიაცია ბოკო-ჰარამია.

13.03.2023

დანაბის ანტიტერორისტული სპეცოპერაცია გალმადუგში

სომალის ელიტარული სამხედრო დანაყოფი - დანაბის მიერ გალმადუგში განხორციელებული ანტიტერორისტული სპეცოპერაციის შედეგად, ხელისუფლებამ კონტროლი მოიპოვა ალი აფრას სოფელზე, რომელიც ბოლო დროს გათავისუფლებული გალადის შემდეგ სტრატეგიული დანიშნულების ობიექტს წარმოადგენდა.

13.03.2023

ანტიტერორისტული სპეცოპერაცია ხაიბერ-პახტუნხვაში

პაკისტანის უწყებათაშორისი სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი ინფორმაციას ავრცელებს ხაიბერ-პახტუნხვას პროვინციაში განხორციელებული ანტიტერორისტული სპეცოპერაციის შედეგად, პაკისტანის ტალიბანის 3 ტერორისტის ლიკვიდაციის შესახებ.

13.03.2023

ანტიტერორისტული სპეცოპერაცია ლამპუნგში

ლამპუნგში, ინდონეზიის კონტრტერორისტული პოლიციის მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის დროს ლიკვიდირებულია ალ კაიდასთან აფილირებული ტერორისტული ორგანიზაციის, ჯემაა ისლამიას (ქართ. ისლამური კონგრეგაციის) 2 წევრი. ინდონეზიის თავდაცვის სამინისტროს განმარტებით, სპეცოპერაცია დაჯგუფება დენზუს 88-მ განახორციელა.

14.04.2023

თავდასხმის მცდელობა ფუმიო კიშიდაზე

პრემიერ-მინისტრ *ფუმიო კიშიდაზე* თავდასხმის განხორციელების მცდელობის ბრალდებით დაკავებულია ერთი პირი. თავდასხმა *ვაკაიამაში* ერთ-ერთი საჯარო შეხვედრის დროს მოხდა. „*კიოდოს*“ საინფორმაციო სააგენტოს განმარტებით, დაკავებულმა პირმა პრემიერ-მინისტრის მიმართულებით კვამლის ბომბის მსგავსი მოწყობილობა ისროლა.

15.04.2023